ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მაჟორიტარი წევრის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ფრაქცია ქართული
ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრის,
განათლებისა და კულტურის კომისიის წევრის

ზურაბ ჩიკვილაძის

2022-2023 წლის ანგარიში

წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, 2021 წლის დეკემბრიდან ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-7 მოწვევის მაჟორიტარი წევრი (ჩუღურეთის რაიონი), ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრი, განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია

მოგახსნებთ, რომ 2022 წლის ნოემბრიდან დღემდე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიამ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად ორგანიზება გაუწია 15 კომისიის სხდომის ჩატარებას. კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 25 საკითხი, რომელზეც მომზადდა შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმები და დასკვნები წარმოდგენილ საკითხებთან/ინიციატივებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში კომისიაში შემოვიდა 61 განცხადება/წერილი, რომელზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება. მოქალაქეთა მიღებაზე გამოცხადებულ მოქალაქეებს გაეწიათ შესაბამისი დახმარება ან ზეპირი/წერილობითი კონსულტაცია ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საკითხებთან დაკავშირებით.

წარმოგიდგენთ მონახაზს იმ საკითხებზე, რომლებზეც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა და გასცა რეკომენდაციები.

დედაქალაქის მასშტაბით ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური მიმართულებით თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება 37 პროგრამა/ქვეპროგრამა. არსებული მუნიციპალური პროგრამები მზარდი ბიუჯეტით მოქალაქეებზეა მორგებული. თბილისის მერიის და საკრებულოს გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს გატარებულმა სიახლეებმა ჩვენი თანამოქალაქეები და მათი ოჯახები მნიშვნელოვანი ფინანსური ტვირთისგან გაათავისუფლა. მათ შორის, აღსანიშნავია „ენდოპროთეზირების“ ქვეპროგრამა, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებს მიმდინარე წელს დაემატა. აღნიშნული ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს ენდოპროთეზირების საჭიროების მქონე პირებისათვის მენჯ-ბარძაყის ან და მუხლის სახსრის ენდოპროთეზირებას. ასევე, მნიშვნელოვანია „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსების“ ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებში გაფანტული სკლეროზის სამკურნალო ძვირადღირებული მედიკამენტები, მაღალტექნოლოგიური კვლევები თბილისის მაცხოვრებლებს სრულად, 100%-ით დაუფინანსდებათ და „ღვიძლის ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებში მიმდინარე წლიდან ამ ოპერაციის საჭიროების მქონე პირებისთვის ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსება სრულად მოხდება.

აღსანიშნავია 2023 წელს „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის“ ქვეპროგრამის დაფინანსების გაზრდა, რის შესაბამისად გაიზარდა პროგრამით მოსარგებლეების რაოდენობა, ვაუჩერით დაფინანსების თანხა და სერვისის მიმწოდებელი ცენტრების რიცხვი. მნიშვნელოვანია სოციალური მიმართულება, რომელიც ასევე პრიორიტეტულია, რამეთუ სოციალურად დაუცველ სეგმენტზე ზრუნვა და მათი გაძლიერება ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. დედაქალაქის მუნიციპალიტეტი ამ მიმართულებით არაერთ პროგრამა/ქვეპროგრამას ახორციელებს, რომელიც ჩვენი თანამოქალაქეების კეთილდღეობას, მათი ცხოვრების ხარისხის გაზრდას ემსახურება.

შესწავლილი საკითხები:

2022 წლის 4 ნოემბერი

თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ თბილისის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკრებულოს დადგენილების პროექტი განიხილეს და გადასახდელების ნაწილში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის დამატებითი მოთხოვნებისა და გადანაწილების შესახებ წინადადებების გათვალისწინებით, ცვლილებების განხორციელების შესახებ იმსჯელეს.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის ჯამური მოცულობა უცვლელი დარჩა და 1 559 866,6 ათას ლარი შეადგინა.

2022 წლის 17 ნოემბერი

კომისიის სხდომაზე „თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტზე ვიმსჯელეთ, რომელიც თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ წარმოადგინა.
მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა მიმართულებით გათვალისწინებული იყო შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება: კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 144 160, 7 ათასი ლარით, ჯანდაცვის პროგრამისათვის განისაზღვრა 27 160 600 ლარით და სოციალური პროგრამები 117 000 100 ლარით.
გარდა ამისა, ვიმსჯელეთ თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების მიმართულებით ბიუჯეტი გაიზარდა და გაგრძელდა იმ პროგრამების დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარები მათი საჭიროებების შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნებიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობით და გარანტირებული სოციალური დახმარებით. მათ შორის: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და დახმარება, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართის შეძენა, სოციალურად დაუცველ ოჯახებზე და სხვა მოქალაქეებზე სოციალური დახმარებები და სხვადასხვა შეღავათები და ა.შ.

2022 წლის 20 დეკემბერი

საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე იმსჯელეს.

წარმოდგენილი პროექტით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე- მათ შორის, გაიზარდა დაავადებათა სკრინინგის, ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამების, უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში, რაიონებში სხვა სოციალური ღონისძიებების, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის დაფინანსება.

ასევე, კომისიის სხდომაზე განვიხილეთ „თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 632 132,6 ათასი ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 305 418,2 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 326 714,4 ათასი ლარით .

წარმოდგენილი პროექტით ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების მიმართულებით ბიუჯეტი გაიზარდა და გაგრძელდება იმ პროგრამების დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარები მათი საჭიროებების შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნებიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობით და გარანტირებული სოციალური დახმარებით. მათ შორის, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და დახმარება, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართის შეძენა, სოციალურად დაუცველ ოჯახებზე და სხვა მოქალაქეებზე სოციალური დახმარებები, სხვადასხვა შეღავათები და ა.შ.

2022 წლის 29 დეკემბერი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ ვიმსჯელეთ. პროექტის თანახმად, დამტკიცდა ქვემოთ ჩამოთვლილი თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები/ქვეპროგრამები:

„დაავადებათა სკრინინგის“, „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის“, „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის", „ტრანსპლანტაციის",ქვეპროგრამის განხორციელების, „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების“, „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების“,“გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსების“ ქვეპროგრამების განხორციელების წესები.

კომისიის სხდომაზე განსაკუთრეებული ყურადღება „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციისა“ და „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების“ ქვეპროგრამებს დაეთმო.

„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის“ ქვეპროგრამაში მოქმედი წესის მიხედვით, მშობელს არ ჰქონდა არჩევანის საშუალება და მომსახურებას იღებდა სტანდარტიზირებული წესით. წარმოდგენილი ახალი პროექტით კი მშობელს უფლება მიეცა თავად აირჩიოს სეანსების მიწოდება ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად ან ბაზისური მომსახურება (სტანდარტიზებული სეანსების რაოდენობის გათვალისწინებით).

რაც შეეხება, „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების“ პროგრამაში შეტანილ ცვლილებას, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით დადგენილი ტარიფების ფარგლებში ფინანსდებოდა შემდეგი მედიკამენტები: ტრასტუზუმაბი, პერტუზუმაბი+ ტრასტუზუმაბი; ტრასტუზუმაბი ან პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი და ლაპატინიბი. ახალი ცვლილებით, 2022 წელს მოქმედი წესისაგან განსხვავებით, პაციენტს მედიკამენტი არაუმეტეს 1500 ლარის ტარიფით მიეწოდება, ნაცვლად 2000 ლარისა. აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე გაჩნდა ეკონომია, ამიტომ გაიზარდა ინფუზიების რაოდენობა.

2023 წლის 23 იანვარი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე 2022 წლის ჯანმრთელობის და სოციალური პროგრამების ანგარიში მოვისმინეთ.

გასულ წელს, ჯანდაცვის მიმართულებით მოქმედი პროგრამების შესრულების მაჩვენებელი შემდეგნაირია: დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის ფარგლებში დაავადებათა ადრეული გამოვლენის საშუალებით ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატის, კოლორექტული და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს კვლევა 130 857 პირს ჩაუტარდა. გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებით „ფინგოლიმოდი“ და „ოკრელიზუმაბი“ პაციენტების მედიკამენტოზურ მკურნალობა კი 111 პაციენტს დაუფინანსდა. აუტიზმის სპექტრის დარღვევის

მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია 1550 ბავშვს. ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების პროგრამით დაფინანსდა 238 პაციენტი. ანგარიშის თანახმად, გასული წლის განმავლობაში დაფინანსდა 163 ონკოჰემატოლოგიური და ღვიძლის დაავადებების მქონე პაციენტი, რომლებიც ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაციას საჭიროებენ და სხვა.

რაც შეეხება, სოციალური დაცვის მიმართულებით მოქმედ პროგრამებს, 18 წლის ასაკის ზემოთ თბილისში მცხოვრები შშმ პირებისათვის 11 დღის ცენტრი დაფინანსდა 87 937ლარით. ელ-ენერგიის, დასუფთავების, წყლის კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის პროგრამის ფარგლებში კი 53 484 ოჯახის სუბსიდირება განხორციელდა. სამედიცინო და სხვა სოციალური დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია 13954 განცხადება. „ომის ვეტერანთა დახმარება“ მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, პროგრამით გათვალისწინებული თანხა მიიღო 130 პირმა. მიუსაფარ პირთა პროგრამით ისარგებლა 111-მა ბენეფიციარმა, ხოლო ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე 10 პირს გაეწია მომსახურება. სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მატერიალური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 1349 ბენეფიციარი. სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების დღის ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფის ფარგლებში მომსახურება გაეწია 25 ბავშვს. სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 593 ბენეფიციარი. სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერით ახალშობილის შეძენისას, დახმარება გაეწია 832 ბავშვის ოჯახს. უძლურთათვის შინმოვლის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ფარგლებში დახმარება გაეწია 761 ბენეფიციარს. გარდა ამისა, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 19 732 ბავშვს. მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასულ 3 ბენეფიციარს, დაფინანსდა 3000 ლარით. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურების ფარგლებში ანაზღაურდა 2039 ვაუჩერი. 100 წელს მიღწეულ 47 მოქალაქეს ჩაერიცხა 1000 ლარი. ხანდაზმულ მოქალაქეთა მატერიალური მხარდაჭერის ფარგლებში დახმარება გაეწია 47 პირს. სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და "მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში" არსებულ წრეებზე სწავლების ხელმისაწვდომობის ფარგლებში განხორციელდა 1854 ბავშვის სწავლების დაფინანსება. სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის "ხელოვნების სკოლებში" არსებულ წრეებზე სწავლების ხელმისაწვდომობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებით ისარგებლა 2 558 ბავშვმა. სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის სპორტულ წრეებზე სწავლების პროგრამით დაფინანსდა 1515 ბავშვი. თბილისის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემული დაფინანსება შეადგენს 954 155 ლარს. შშმ პირების კულტურულ-შემოქმედებითი, საგანმანათლებლო და სხვა ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 101 პროექტი“.

2023 წლის 21 თებერვალი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ იმსჯელეს.
საკითხი, კომისიის წევრებს მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა წარუდგინა.
ცვლილება „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში შევიდა. ქვეპროგრამის ფარგლებში, თვეში ფინანსდებოდა არაუმეტეს 1550 ბენეფიციარი, ხოლო წარმოდგენილი პროექტით ლიმიტი 300 ერთეულით გაიზარდა. შესაბამისად, მიღებული ცვლილების შემდეგ, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდაა 1850 ბენეფიციარი.

2023 წლის 17 მარტი

საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე „თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ვიმსჯელეთ.
ცვლილება აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში შევიდა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურებები 400 ლარიანი ვაუჩერით ფინანსდებოდა. აღნიშნული ცვლილებით კი ვაუჩერის ღირებულება 450 ლარამდე გაიზარდა.

2023 წლის 19 აპრილი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი განვიხილეთ.
წარმოდგენილ პროექტში ცალ-ცალკეა გაწერილი უსახლკარო პირად და უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის კრიტერიუმები. ასევე, პროექტში კომისიის მიერ უსახლკარო ოჯახად რეგისტრირებული ოჯახისათვის ქულათა მინიჭების სისტემაში მითითებული მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრ(ებ)ისათვის 2 ქულის ნაცვლად მითითებულია 3 ქულა. შეცვლილია უსახლკაროდ დარეგისტრირებული ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფის პროცედურაც.

2023 წლის 18 მაისი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე კომისიის წევრებმა თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/silent საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ საკრებულოს დადგენილებაში შესატან ცვლილებებზე იმსჯელეს.
კომისიის სხდომაზე თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებაც იმსჯელეს. აღნიშნული საკითხი კომისიის წევრებს თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ გააცნო. მისი ინფორმაციით, ცვლილების მიხედვით, საცხოვრებელი ბინის 1 კვ.მ-ის ღირებულება იზრდება და ადრე არსებული 750 აშშ დოლარის ნაცვლად 900 აშშ დოლარს შეადგენს.

2023 წლის 9 ივნისი

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ იმსჯელეს.
ცვლილება დადგენილებით დამტკიცებულ „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-9 მუხლში მიმწოდებლის მიერ დასაკმაყოფილებელი კრიტერიუმების ჩამონათვალში შევიდა და ქცევის ანალიტიკოსის კვალიფიკაციას შეეხო. კერძოდ, ანალიტიკოსს BCBA დონის საერთაშორისო სერტიფიკატთან ერთად, დამატებით, ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ აკრედიტებული IBA/QBA საერთაშორისო სერტიფიკატის ქონა მოეთხოვება. ცვლილება ასევე ქცევის ანალიტიკოსის ასისტენტის სერტიფიცირებასა და ფუნქციებსაც შეეხო.
სხდომაზე, ასევე განიხილეს თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-121დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხი, რომელიც „შინმოვლის თანადაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესით განსაზღვრულ ბართელის კითხვარის შევსების ღირებულებას ეხება.

2023 წლის 30 ივნისი

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე „თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2022 წლის

29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტზე ვიმსჯელეთ.
პროექტის მიხედვით ცვლილება „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-4 მუხლში შევიდა, რომელიც დაფინანსების საკითხს ეხება. წარმოდგენილი პროექტით ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე, თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსება სრულად მოხდება და პაციენტს თანაგადახდა აღარ მოუწევს. შესაბამისად, თბილისის მერია 70 000 ლარის ნაცვლად ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციას 120 000 ლარის ფარგლებში სრულად დააფინანსებს.

2023 წლის 21 ივლისი

თბილისის საკრებულოში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე ესწრებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ იმსჯელეს. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 20 552,2 ათასი ლარით და შეადგინა 1 823 624,5 ათას ლარი.
ქ.თბილისის ბიუჯეტს ახალი ქვეპროგრამა დაემატა - სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსება, რომელიც 500,0 ათასი ლარით განისაზღვრება. ქვეპროგრამა გულისხმობს მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროთეზირების საჭიროების მქონე პირებისათვის ოპერაციის დაფინანსებას. დედაქალაქში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სახსრების ენდოპროთეზირების პროგრამის დაწყება ჩვენი გუნდის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაა, რომელიც აღნიშნული ოპერაციის საჭიროების მქონე ადამიანების მდგომარეობას ერთმნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. ერთი მოქალაქის დასაფინანსებლად, 6000 ლარი განისაზღვრება. პროგრამის მიმდინარე ბიუჯეტი ნახევარი მილიონი ლარი იქნება. ჩვენი მიზანი უპირველეს ყოვლისა, თანამოქლაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვაა, რაც მათი კეთილდღეობის გარანტიაა.
დაფინანსებები გაიზარდა შემდეგ ქვეპროგრამებში: აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამა 1 300,0 ათასი ლარით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურებაში 402,6 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში 131,5 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება 349,6 ათასი ლარით.
აქვე, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე, ზურაბ ჩიკვილაძემ ახალშობილთა სკრინინგის პროცესში, სიმპტომების გამოვლენამდე დიაგნოსტიკის როლზე და ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის სამომავლო ჩართულობის პერსპექტივაზე ისაუბრა. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, კომისიის სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმარი, ექიმი გენეტიკოსი, პედიატრი ლალი მარგველაშვილი, რომელმაც ახალშობილთა მეტაბოლური და მემკვიდრული დაავადებების ადრეული გამოვლენის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება, ასევე აქცენტი გააკეთა მკურნალობის დაგვიანების შემთხვევაში, შეუქცევადი პროცესების

განვითარებაზე, რაც ძირითადად ფიზიკური და გონებრივი განვითარების შეფერხებით და შინაგანი ორგანოების დაზიანებით ვლინდება. ლალი მარგველაშვილმა ახალშობილთა სკრინინგის გაფართოვებაზე საუბრისას, საინფორმაციო კამპანიების მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება.

2023 წლის 24 აგვისტო

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ იმსჯელეს.
აღნიშნული ცვლილებით თბილისის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამებს ახალი ქვეპროგრამა - „სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსება“ დაემატა. შესაბამისად, საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების წესებს ემატება „სახსრების ენდოპროთეზირების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, რომელიც აღნიშნული ახალი პროგრამის განხორციელების პირობებსა და პროცედურებს განსაზღვრავს.
ახალი ქვეპროგრამით სარგებლობა შესაძლებელი იქნება საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, თბილისის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე, ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის თბილისის მუნიციპალიტეტში არიან რეგისტრირებული და რომლებსაც წესით გათვალისწინებული ენდოპროთეზირება ესაჭიროება.
ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს ენდოპროთეზირების საჭიროების მქონე პირებისათვის მენჯ-ბარძაყის ან/და მუხლის სახსრის ენდოპროთეზირებას (დაზიანებული ან შეცვლილი სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით). ქვეპროგრამის განმახორციელებელია თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური. მომსახურების დაფინანსება განხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის/თანხმობის წერილის მეშვეობით, არაუმეტეს 6 000 ლარის ოდენობით, პაციენტის თანაგადახდა განისაზღვრება ფაქტიური ხარჯის გათვალისწინებით. ქვეპროგრამაში ჩართვისათვის პირმა უნდა მიმართოს თბილისის მერიას და წესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია წარადგინოს.

2023 წლის 22 სექტემბერი

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე "თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N 20-122 დადგენილებაში ცვლილების შესახებ დადგენილების პროექტზე ვიმსჯელეთ.

პროექტის მიხედვით, ცვლილება "გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის" მე-4 მუხლში შევიდა და დაფინანსების საკითხს შეხო. მოქმედი რედაქციის მიხედვით, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, წესით გათვალისწინებული მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს მედიკამენტი უფინანსდებოდათ წესით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით. მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 80%-ის მოცულობით (თანაგადახდა შეადგენდა 20%-ს). წარმოდგენილი პროექტით აღარ ხდება დიფერენცირება სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პირებსა და სტატუსის არქმონე პირებს შორის. ყველა ბენეფიციარს, რომელიც აკმაყოფილებს წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებს მედიკამენტი დაუფინანსდება სრულად, წესით გათვალისწინებული ტარიფის ფარგლებში.

2023 წლის 19 ოქტომბერი

კომისიის სხდომაზე ა(ა)იპ ,,თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი“-ს დირექტორმა გოჩა მინდიაშვილმა, თავშესაფრის მუშაობის 9 თვის ანგარიში წარმოადგინა. თავშესაფრის დირექტორმა კომისიის წევრებს თავშესაფრის ფუნქციონირების, ბენეფიციართა როტაციის, მათთვის გამოყოფილი სოციალური სერვისების აღსრულებისა სტატისტიკური მონაცემების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

ვრცელ ანგარიშში ნათქვამია, რომ 2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, ლილოს მიუსაფართა თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა სულ 181 -მა მიუსაფარმა პირმა. მათგან, 64 ქალია, ხოლო 117 მამაკაცი. ამჟამად ლილოს მიუსაფართა თავშესაფარში ირიცხება106 ბენეფიციარი. მათგან 47 ქალი და 59 მამაკაცი.

საანგარიშო პერიოდში თავშესაფარში ჩაირიცხა 80 ახალი ბენეფიციარი. მათგან განმეორებით ჩაირიცხა 30. მათ შორის: მეორედ - 19; მესამედ - 3; მეოთხედ - 5; მეხუთედ - 2; მეცხრედ - 1 ბენეფიციარი. თავშესაფარში ცხოვრების ვადა გაუგრძელდა 31 ბენეფიციარს. საანგარიშო პერიოდში თავშესაფრიდან სხვა და სხვა მიზეზით ამოირიცხა 78 ბენეფიციარი; ქალი - 16; კაცი - 62.

საანგარიშო პერიოდში ლილოს მიუსაფარ პირთა თავშესაფარში ირიცხებოდა 25 შშმ პირი და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე 12 ბენეფიციარი. ,,ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“ აღრიცხვაზე მყოფი 11 და ნასამართლევი 29 ბენეფიციარი“, - ნათქვამია ანგარიშში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ, ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარს“, პირდაპირი განკარგვის წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2022 წლიდან დღემდე გადმოეცა 88 ერთეული ინდივიდუალური საცხოვრისი. ხელშეკრულება კი 78 ოჯახთან გაფორმდა.

კომისიის სხდომაზე, თავშესაფრის დირექტორმა, კომისიის წევრებს ინფორმაცია ბენეფიციართა კვებით უზრუნველყოფასა და სანიტარულ - ჰიგინური მომსახურებაზე მიაწოდა.
ანგარიშში ცალკე თავი ეთმობა ინფორმაციას ვარკეთილის, ორხევის, დიდი დიღმისა და სხვადასხვა ლოკაციაზე არსებულ სოციალურ საცხოვრისებთან დაკავშირებით.
თავშესაფრის დირექტორმა ანგარიშის წარდგენისას, ასევე ისაუბრა საანგარიშო პერიოდში სოციალური მუშაკების მიერ განხორციელებულ სოციალურ და ფსიქოლოგიურ მომსახურებაზე, ბენეფიციართა დასაქმების საკითხებზე. სოციალურ საცხოვრისებში გამოკვეთილ სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებზე: იძულებით გადაადგილებულ პირებზე, შშმ პირებზე, ხანდაზმულებსა და არასრულწლოვანებზე.

სხვა აქტივობები

2022 წლის 14 ნოემბერი

ვიზიტი უსინათლოთა კავშირში

უსინათლოთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრებთან ერთად საქართველოს უსინათლოთა კავშირს ვეწვიეთ.

აღნიშნულ შეხვედრაზე უსინათლოთა კავშირის წევრებმა ყურადღება მუნიციპალურ ქვეპროგრამებზე გაამახვილეს და ზოგადად მათ გამოწვევებზე ისაუბრეს .
"საზოგადოების განვითარებაში დიდია უსინათლო ადამიანების მიერ შეტანილი წვლილი. შესაბამისად, უსინათლოთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას ემსახურება. თბილისის მერია უსინათლო პირებისთვის სხვადასხვა მუნიციპალურ ქვეპროგრამებს ახორციელებს. მათი ცხოვრების ხარისხის გაზრდის პროცესში თითოეული ჩვენგანის ჩართულობა და გამოწვევების დაძლევა მნიშვნელოვანი ფაქტორია",.

2022 წლის 18 ნოემბერი

ვიზიტი საქართველოს sos ბავშვთა სოფელში

თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრ ლევან აბაშიძესთან ერთად საქართველოს sos ბავშვთა სოფელს ვეწვიეთ. ვიზიტი მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართა.დავათვალიერეთ ბენეფიციართა საცხოვრებელი გარემო, შევხვდით მოზარდებს და მათ საჭიროებებს გავეცნით.

2022 წლის 29 ნოემბერი

სამუშაო შეხვედრა თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) მისიის ხელმძღვანელთან

ქალაქ თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა საქალაქო სამსახურის უფროსთან გელა ჩივიაშვილთან ერთად სამუშაო შეხვედრა გამართა თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) მისიის ხელმძღვანელთან თუბა ოზუთოქთან და კოორდინატორის მოადგილესთან სალიჰა გიუნერ ბაირაქდართან.

თუბა ოზუთოქმა საქართველოში ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ისაუბრა, რომელმაც 1994 წლიდან დღემდე ჯანდაცვის,სოფლის მეურნეობის, განათლების, ადმინისტრაციული და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის მიმართულებით 700-ზე მეტი პროექტი განახორციელა. აქცენტი შეზღუდული შესაძლებლობების და შეჭირვებული მოქალაქეების თანადგომასა და საჭიროებიდან გამომდინარე მათ დახმარებაზე გაკეთდა.
სტუმრებს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის საქმიანობის სპეციფიკა გავაცანით. ვისაუბრეთ მუნიციპალურ პროგრამებზე, რომელთაც თბილისის მერია ახორციელებს.

2022 წლის 1 დეკემბერი

ვიზიტი დღის ცენტრში "მშობელთა ხიდი"

3 დეკბერს შშმ პირთა საერთაშორისო დღე აღინიშნება, რომლის მიზანი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და შშმ პირთა ყველა სფეროში ჩართულობის გაზრდაა. ამ თარიღთან დაკავშირებით, თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრ ლევან აბაშიძესთან ერთად დღის ცენტრს "მშობელთა ხიდს" ვეწვიეთ, სადაც აღნიშნული ცენტრის ხელმძღვანელმა თეონა ყაჭეიშვილმა გვიმასპინძლა. დავათვალიერეთ გარემო, სადაც ბენეფიციარები შესაბამის თერაპიებს გადიან. მულტიდისციპლინური გუნდის წევრებმა "მშობელთა ხიდის" მუშაობის პრინციპი გაგვაცნეს. ასევე, გავეცანით აღნიშნული

ცენტრის პარაორკესტრს.. სპეციალისტებმა მუსიკის, როგორც საუკეთესო არტ-თერაპიის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. ბენეფიციარებმა თავიანთი ნამუშევრები დაგვათვალიერებინეს. ბავშვთა და მოზარდთა უფლებებზე ზრუნვა, პრიორიტეტული თემაა, რომელზეც ვმუშაობთ. შშმ პირთა ჯანდაცვის, სოციალური დაცვის უზრუნველყოფა, ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა თითოეული ჩვენგანის ვალია. აღნიშნული ვიზიტიც ამ მიზანს ემსახურება. "მშობელთა ხიდის" მსგავსი ორგანიზაციების და დღის ცენტრების არსებობა ბენეფიციართა კეთილდღეობის და სრულფასოვანი მომავლის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

2022 წლის 5 დეკემბერი

სამუშაო შეხვედრა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა მშობლებთან, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციებთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან

თბილისის საკრებულოში აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის წესში შესატანი ცვლილების განხილვის შესახებ სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ, მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი, საკრებულოს წევრები, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა მშობლები, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

აღნიშნულ შეხვედრაზე, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაზე, ბავშვების საჭიროებებზე, მუნიციპალურ პროგრამებში მათ ჩართულობაზე, კუთვნილი სერვისების ხელმისაწვდომობასა და ბენეფიციარების საჭიროებებზე ვისაუბრეთ.
ამგვარი შეხვედრები დარგის ექსპერტებთან, მშობლებთან ურთიერთობის გაძლიერებასა და კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობის დანერგვას ისახავს მიზნად. ჩვენ მზად ვართ პროგრამა, რომელსაც თბილისის მუნიციპალიტეტი ახორციელებს უფრო მოქნილი გახდეს.

2023 წლის 17 იანვარი

ვიზიტი დღის ცენტრში "მშობელთა ხიდი"

თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) მისიის თბილისის ოფისის ხელმძღვანელთან თუბა ოზუთოქთან ერთად დღის ცენტრს"მშობელთა ხიდს" ვეწვიეთ. დავათვალიერეთ გარემო, სადაც ბენეფიციარები შესაბამის თერაპიებს გადიან. ცენტრის ხელმძღვანელმა აქცენტი სახელმწიფოს მხარდაჭერაზე გააკეთა, ასევე ისაუბრა ბენეფიციართათვის საჭიროებების უზრუნველყოფის პროცესში ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის მნიშვნელობაზე. მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალისტებმა დამსწრეებს "მშობელთა ხიდის" მუშაობის პრინციპი გააცნეს და აღნიშნული ცენტრის პარაორკესტრი წარუდგინეს, რომლის წევრებმა სტუმრების საპატივცემულოდ მუსიკალური ნომრები შეასრულეს. მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალისტებმა კი მუსიკის, როგორც საუკეთესო არტ-თერაპიის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. ცენტრის ბენეფიციარებმა სტუმრებს თავიანთი ნამუშევრებიც დაათვალიერებინეს.
თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს მისიის ხელმძღვანელმა თუბა ოზუთუქმა საქართველოში ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, TIKA-მ 1994 წლიდან დღემდე სხვადასხვა მიმართულებით 700-ზე მეტი პროექტი განახორციელა. აქცენტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თანადგომასა და საჭიროებიდან გამომდინარე მათ დახმარებაზე გააკეთა. საკრებულოს წევრებს ამ მიმართულებებით ურთიერთანამშრომლობა შესთავაზა და „მშობელთა ხიდის“ თანადგომისთვის მზადყოფნა განაცხადა.

2023 წლის 25 იანვარი

ვიზიტი ეროვნული სკრინინგ ცენტრის საბურთალოს ფილიალში.

მსოფლიოში საშვილოსნოს ყელის კიბოს ცნობიერების ამაღლების თვესთან დაკავშირებით, კომისიის წევრებთან, საბურთალოს მაჟორიტარ წევრთან ავთანდილ ცინცაძესთან, მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსთან გელა ჩივიაშვილთან და საბურთალოს რაიონის გამგებელთან გაიოზ ვასაძესთან ერთად, ეროვნული სკრინინგ ცენტრის საბურთალოს ფილიალს ვეწვიეთ.
სკრინინგ ცენტრის დირექტორთან ეთერ კიღურაძესთან ერთად დავათვალიერეთ არსებული გარემო, გავეცანით ცენტრის მუშაობას და ფილიალის განვითარების სამომავლო გეგმებზე ვისაუბრეთ.
თბილისის მერიის მიერ განხორციელებული სკრინინგის პროგრამა ქალბატონების ჯანმრთელობის წინაპირობაა. ამ პროცესში სახელმწიფოს ჩართულობის როლი დიდია. კიბოს შესახებ მოსახლეობის ცნობიერების გაზრდის პროცესში თითოეული ჩვენგანის დროული მონაწილეობა დიაგნოსტიკისა და პრევენციისთვის უმნიშვნელოვანესია.

2023 წლის 10 თებერვალი

სამუშაო ვიზიტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში

საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძესთან ერთად სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში.

ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ბერლინის სენატის ჯანდაცვისა და ბიბლიოთეკების კურატორებთან, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის, მრავალპროფილური პედიატრიული კლინიკის, მუნიციპალური დაქვემდებარების სახელოვნებო, მუსიკალური სკოლის და ადრეული ასაკის განათლების (საბავშვო ბაღების) ხელმძღვანელებთან. სადაც ინოვაციურ კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებზე, ჯანდაცვის სფეროში არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე ვისაუბრეთ, ასევე წარმატებული რეფორმების მოდელების გაცვლასთან დაკავშირებით სამომავლო გეგმები დავსახეთ. ამ მიმართულებებით თბილისის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია გერმანული გამოცდილების გაზიარება, ქართულ რეალობასთან მისადაგება და მუნიციპალურ სერვისებში არსებული სიახლეების დანერგვა.

ასევე, შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა გერმანიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ლევან იზორიასთან სადაც ჯანდაცვის სფეროში არსებულ მიღწევებზე, გამოწვევებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებზე ვისაუბრეთ.

2023 წლის 7 მარტი

ვიზიტი ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკაში

თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთან, ლევან აბაშიძესთან ერთად ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკას ვეწვიეთ. აღნიშნული კლინიკის დირექტორმა თამაზ ჩხიკვაძემ არსებული გარემო დაგვათვალიერებინა, რომლის ინფრასტრუქტურა თანამედროვე სტანდარტებს მორგებულია, სადაც პაციენტები მათთვის საჭირო სერვისებს იღებენ. თამაზ ჩხიკვაძემ გეგმიური, სრული ამბულატორიული

მომსახურების, ლაბორატორიული გამოკვლევების პროცესში, მაღალი ტექნოლოგიური აღჭურვილობის ეფექტურობასა და უცხოეთში არსებულ, არაერთი ქვეყნის საუნივერსიტეტო კლინიკებთან ურთიერთანამშრომლობის გამოცდილებასა და მნიშვნელობაზე ისაუბრა. ასევე, ყურდღება გაამახვილა მოქალაქეებისთვის მკურნალობის პროცესში მუნიციპალური თანადაფინანსების არსებობაზე.
ხარისხიანი სამედიცინო სერვისების განვითარება ჩვენი ჯანდაცვის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. მოქალაქეების ჯანმრთელობის მდგომარეობის და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია მრავალპროფილური, მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტებული კლინიკების არსებობა. გეგმიური ამბოლატორიული მომსახურება, პაციენტზე ორიენტირებულობა, მაღალტექნოლოგიური სამედიცინო სერვისები ქმნის მოქალაქეებისთვის კომფორტულ გარემოს და რაც უმნიშვნელოვანესია, ამ სერვისებისადმი ნებისმიერი სტატუსის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობა, რისი წინაპირობაც, დედაქალაქის მოქალაქეებისთვის საჭირო კვლევების თანადაფინანსებაა, რომელსაც თბილისის მერია ახორციელებს. მსგავსი სერვისების არსებობა, საზოგადოების ჯანმრთელობის გარანტიაა..

2023 წლის 15 მარტი

ვიზიტი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრში „რეჰაბი“

თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრ ლევან აბაშიძესთან და დედაქალაქის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსთან გელა ჩივიაშვილთან ერთად, ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრს „რეჰაბს“ ვეწვიეთ.

აღნიშნული ცენტრის ხელმძღვანელებთან მარინა შიშნიაშვილთან და სალომე ნიკურაძესთან ერთად, ის გარემო დავათვალიერეთ, სადაც ბავშვები და მოზარდები მათთვის საჭირო სხვადასხვა თერაპიას გადიან. ასევე გავეცანით „აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში“ ჩართულ ბენეფიციარებთან მუშაობის პრინციპს და მულტიდისციპლინური გუნდის წევრებთან ერთად, ბენეფიციართა საჭიროებებზე ვისაუბრეთ. ვისაუბრეთ იმ მნიშვნელოვან სიახლეზე, როგორიც პროგრამის ვაუჩერის ღირებულების ზრდაა. ყოველთვიურად, პროგრამის ბენეფიციარები 400 ლარის ნაცვლად 450 ლარით დაფინანსდებიან. თუ გასულ წელს პროგრამის ბენეფიციარებისთვის 4 800 ლარი იხარჯებოდა, ამჯამად თითოეული მათგანისთვის 5 400 ლარია გამოყოფილი.

2023 წლის 30 მარტი

ვიზიტი პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძესთან ერთად ექიმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით პირველ საუნივერსიტეტო კლინიკას ვეწვიეთ.
სადაც აღნიშნული კლინიკის გენერალურ დირექტორს ლევან რატიანს და კლინიკის სამედიცინო პერსონალს ექიმების საერთაშორისო დღე მივულოცეთ და პროფესიულ საქმიანობაში წარმატებები ვუსურვეთ.
აღსანიშნავია ის, რომ ჯანმო-ს ევროპის რეგიონალურმა ოფისმა დადებითად შეაფასა COVID-19-ის მართვა საქართველოში და უმაღლესი შეფასება მისცა პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში ინტენსიური თერაპიის განყოფილებას.

2023 წლის 2 აპრილი

ვიზიტი დღის ცენტრში "მშობელთა ხიდი"

აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან გიორგი ვოლსკისთან, პარლამენტის წევრთან რიმა ბერაძესთან, ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან ერთად დღის ცენტრს "მშობელთა ხიდს" ვეწვიეთ.
აღნიშნული ცენტრის დირექტორმა თეონა ყაჭეიშვილმა სტუმრებს არსებული გარემო დაათვალიერებინა და ცენტრის მუშაობის პრინციპი გააცნო. პარაორკესტრის წევრებმა 2 აპრილისადმი მიძღვნილი რვა ნომრისგან შედგენილი ახალი პროგრამა წარმოადგინეს. სტუმრებმა, ასევე ბენეფიციარების მიერ შექმნილი ფოტო-კოლაჟი დაათვალიერეს.

თბილისის მერია წლიდან წლამდე აძლიერებს "აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის" პროგრამას აღნიშნული პროგრამის დაფინანსების გაზრდით, შესაბამისად პროგრამის მოსარგებლეთა რიცხვიც იზრდება.მათთვის სრულფასოვანი მომავლის შექმნა ჩვენი ვალია.

2023 წლის 3 აპრილი

ვიზიტი მოზარდთა ცენტრში "ფაზლი"

აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ბავშვთა და მოზარდთა ცენტრს "ფაზლი" ვეწვიეთ. გავეცანით "აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში" ჩართულ ბენეფიციარებთან მუშაობის პრინციპებს, დავათვალიერეთ გარემო, სადაც ბავშვები და მოზარდები თერაპიას გადიან, შევხვდით ზემოთაღნიშნული ცენტრის დამფუძნებელს თამარ ცქიტიშვილს, მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს, რომლებმაც აუტიზმის სპექტრის მქონე ბენეფიციარებთან მუშაობის პრინციპზე და მათ საჭიროებებზე ისაუბრეს.

2023 წლის 7 აპრილი

ვიზიტი ამერიკულ ჰოსპიტალში

ჯანმრთელობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთან ანა კაკაბაძესათან ერთად ამერიკულ ჰოსპიტალს ვეწვიეთ.

აღნიშნული ჰოსპიტალის სამედიცინო დირექტორმა ირაკლი გოგოხიამ და ამბოლატორიული სერვისების დირექტორმა მედა კონცელიძემ დაგვათვალიერებინა კლინიკის არსებული გარემო, რომლის ინფრასტრუქტურა თანამედროვე სტანდარტებს მორგებულია, სადაც პაციენტები მათთვის საჭირო, მაღალი ხარისხის სერვისებს იღებენ. გავეცანით სამედიცინო პერსონალს და

მათთან შეხვედრისას, მოქალაქეების ჯანმრთელობის უზრუნველყოფისთვის სახელმწიფოს და საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობის, ყველა რგოლის გააქტიურების, მუნიციპალური პროგრამების სტრატეგიის განსაზღვრაში სამედიცინო პერსონალის ჩართულობის მნიშვნელობაზე გავამახვილეთ ყურადღება.

2023 წლის 26 აპრილი

სამუშაო შეხვედრა ამერიკული ჰოსპიტლის აღმასრულებელ დირექტორთან, ერჯან აიილდიზსთან.

თბილისის საკრებულოში ამერიკული ჰოსპიტლის აღმასრულებელ დირექტორს, ერჯან აიილდიზს შევხვდით. შეხვედრისას ჰოსპიტლის წარმომადგენლებს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის საქმიანობის სპეციფიკაც გავაცნი და იმ მუნიციპალურ პროგრამებზე გავამახვილე ყურადღება, რომელთაც თბილისის მერია ახორციელებს. ყურადღება განსაკუთრებით იმ სეგმენტის დახმარებაზე გავამახვილე, რომელსაც გვერდში დგომა ყველაზე მეტად სჭირდება.
ხარისხიანი სამედიცინო სერვისების განვითარება ჩვენი ჯანდაცვის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. არსებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია ნებისმიერი სტატუსის მქონე პირთათვის, რისი წინაპირობაც თბილისის მერიის მხრიდან მოქალაქეთა კვლევების და საჭირო სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებაა. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ ერთობლივი პროექტების განხილვისთვის და შემდგომში მათი განხორციელებისთვის.
თავის მხრივ, ერჯან აიილდიზმა ამერიკული ჰოსპიტლის მსგავსი მრავალპროფილური კლინიკების არსებობის, პაციენტებისთვის მაღალი ხარისხის სერვისების მიწოდების, მოქალაქეების ჯანმრთელობის უზრუნველყოფისთვის სახელმწიფოსა და სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ამერიკული ჰოსპიტლის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიასთან ხანგრძლივი თანამშრომლობისა და ერთობლივ აქტივობებში მონაწილეობისთვის მზადყოფნა გამოთქვა.

2023 წლის 1 მაისი

თბილისის საკრებულომ პარაორკესტრს უმასპინძლა

ქალაქ თბილისის საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში პარაორკესტრს ვუმასპინძლეთ. ამიერკავკასიაში ერთადერთი პარაორკესტრის წევრებმა დამსწრე საზოგადოებას მუსიკალური ნომრებისგან შემდგარი ახალი პროგრამა წარუდგინეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საკრებულოს წევრები, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ვოლსკი, პარლამენტის წევრები რიმა ბერაძე, ელისო ბოლქვაძე, ჩუღურეთის რაიონის გამგებელი დავით

მაქაცარია, ამერიკული ჰოსპიტალის აღმასრულებელი დირექტორი ერჯან აიილდიზი, ბავშვთა ფონდის წარმომადგენლები,მოწვეული სტუმრები.
დედაქალაქი წლიდან წლამდე აძლიერებს შშმ ბავშვებისა და მოზარდების მხარდაჭერის პროგრამებს და მათთვის შესაბამისი გარემოს შექმნის პროცესში მონაწილეობა თითოეული მოქალაქის ვალია."პარაორკესტრის მიერ არაჩვეულებრივი შესრულება, ბენეფიციარების მიერ შექმნილი ნამუშევრები მათი უსაზღვრო შესაძლებლობების კიდევ ერთი დასტურია. "მშობელთა ხიდის" მსგავსი ორგანიზაციების არსებობა, ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის აქტიური ჩართულობა ჩვენი ბავშვების და მოზარდების კეთილდღეობის წინაპირობაა.

2023 წლის 18 მაისი

სამუშაო შეხვედრა შვედეთში სასწავლო ვიზიტის ფარგლებში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომდგენლებთან

თბილისის საკრებულოში სამუშაო შეხვედრა გამართა შვედეთში სასწავლო ვიზიტის ფარგლებში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომდგენლებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ შვედური ორგანიზაცია „გლადა ჰუდიკ თეატრის" წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის წევრები მიხეილ სარჯველაძე, ქეთევან დუმბაძე, ქალაქ თბილისის მერიის, სახალხო დამცველის აპარატის, სიღნაღის მუნიციპალიტეტის, ინკლუზიური თეატრალური დასის „აზდაკის ბაღი", შშმ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები.

სამუშაო შეხვედრაზე, შშმ პირებთან დაკავშირებით შვედეთში არსებული გამოცდილების გაზიარების შესახებ პრეზენტაცია მოეწყო, სადაც აქცენტი გაკეთდა შშმ მიმართულებით ქ. სტოკჰოლმის და სხვა მუნიციპალიტეტების არსებულ პოლიტიკაზე, ხედვასა და საქმიანობაზე, განხორციელებულ სერვისებზე, სოციალური სამსახურის და დღის ცენტრების მუშაობის სპეციფიკაზე. სასწავლო ვიზიტი დაიგეგმა პროექტის "ბავშვები სტერეოტიპებით არ იბადებიან" ფარგლებში, რომელიც განხორციელდა ქ. ჰუდიკსვალის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით. ქართულ დელეგაციას მასპინძლობა გაუწია შვედურმა ინსტიტუტმა.
სამუშაო შეხვედრისას, „გლადა ჰუდიკ თეატრის" წარმომადგენლებმა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით, 2020 წლიდან საქართველოში განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. მათი თქმით, ორგანიზაცია გამოხატავს მზაობას და სურვილს შვედური გამოცდილება და განვლილი გზა გაუზიაროს საქართველოს.

2023 წლის 1 ივნისი

ვიზიტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ბავშვთა ენდოკრინოლოგიურ ცენტრში.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძესთან ერთად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ბავშვთა ენდოკრინოლოგიურ ცენტრს ვეწვიეთ.

ცენტრის ხელმძღვანელთან, ენდოკრინოლოგ პროფესორ მარინა გორდელაძესთან, ერთად ცენტრში არსებული თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარემო დავათვალიერეთ, სადაც დიაბეტის დიაგნოზის მქონე ბავშვები უმაღლესი ხარისხის მომსახურებას იღებენ.

2023 წლის 14 ივნისი

„ევექსი"-ს ახალი პოლიკლინიკის გახსნის ღონისძიება

ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგებელთან გაიოზ ვასაძესთან ერთად , საბურთალოს რაიონში, ცინცაძის 24-ში მდებარე „ევექსის"ახალი პოლიკლინიკის გახსნის ღონისძიებას დავესწარი.
აღნიშნული პოლიკლინიკის დირექტორმა, გიორგი გორდაძემ არსებული გარემო დაგვათვალიერებინა, რომლის ინფრასტრუქტურა თანამედროვე სტანდარტებს მორგებულია, ახალი სამედიცინო აპარატურით არის აღჭურვილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექიმებით არის დაკომპლექტებული.

2023 წლის 14 ივნისი

"აზდაკის ბაღი," ნოდარ დუმბაძის მოთხრობის "ჰელადოს" მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა

საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით, თბილისის საკრებულოში ინტეგრირებული თეატრის "აზდაკის ბაღი," ნოდარ დუმბაძის მოთხრობის "ჰელადოს" მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა გაიმართა.

აღნიშნული სპექტაკლის პრემიერის შემდეგ, საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია "ანიკას", სიღნაღის თემი "ქედელის" ბენეფიციარების მიერ შექმნილი ნამუშევრებიც გამოიფინა. ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის საკრებულოს წევრები, მერიის, სიღნაღის მუნიციპალიტეტის, არასამათავრობო სექტორის წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები.
ხელოვნების გზით ინტეგრაცია შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრირების დაჩქარების პროცესის საუკეთესო საშუალებაა. შშმ პირთა კულტურულ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა კი ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

2023 წლის 19 ივნისი

ვიზიტი ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკაში

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრ ნათია მოდებაძესთან ერთად ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკას ვეწვიეთ. აღნიშნული კლინიკის გენერალურმა დირექტორმა, ნეიროქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გოჩა ინგოროყვამ დაგვათვალიერებინა არსებული გარემო, სადაც მოქალაქეები ყველა პროფილის მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურეობას ერთ სივრცეში იღებენ.

კლინიკის დირექტორმა ჩვენს ქვეყანაში ნეიროქირურგიის დარგის განვითარების, ამ მიმართულებით სპეციალისტების ხელშეწყობასა და სამეცნიერო სიახლეების შესახებ ისაუბრა. გოჩა ინგოროყვამ მკურნალობის, დიაგნოსტიკის, ლაბორატორიული გამოკვლევების პროცესში, მაღალი ტექნოლოგიური აღჭურვილობის და მაღალკვალიფიცირებული პროფესიონალთა გუნდის ეფექტურად მუშაობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება, რაც მოქალაქეებს ევროპული დონის, ინოვაციური სამკურნალო ტექნოლოგიებით სამედიცინო მომსახურების მიღების საშუალებას აძლევს.

ასევე შევხვდით ონკოჰემატოლოგიის და ქიმიოთერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ნინო შარაშენიძეს რომელმაც, ონკოჰემატოლოგიის მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში დანერგილ სიახლეებსა და მიღწევებზე ისაუბრა. პაციენტთა მკურნალობის პროცესში მნიშვნელოვანია თბილისის მერიის არსებული ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამა, რომელიც წარმატებით ხორციელდება.

2023 წლის 20 ივნისი

სამუშაო შეხვედრა გამართა "ევექსი კლინიკების" დირექტორთან გიორგი გორდაძესთან

ქალაქ თბილისის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსთან გელა ჩივიაშვილთან ერთად, სამუშაო შეხვედრა გაიმართა "ევექსი კლინიკების" დირექტორთან გიორგი გორდაძესთან. აღნიშნულ შეხვედრაზე, ყურადღება გამახვილდა ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით მუნიციპალურ პროგრამებზე, რომელთაც თბილისის მერია ახორციელებს, მათ შორის "აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაზე".

"ევექსი კლინიკების" დირექტორმა გიორგი გორდაძემ მზადყოფნა გამოთქვა, მონაწილეობა მიიღოს პირველადი ჯანდაცვის რგოლის გაძლიერებაში. ისაუბრა ამ მიმართულებით "ევექსის" ჩართულობის პერსპექტივის შესახებ და მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა.

2023 წლის 6 ივლისი

ვიზიტი ჩაჩავას კლინიკაში

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრებთან ერთად ჩაჩავას კლინიკას ვეწვიეთ და სამედიცინო პერსონალს შევხვდით. კლინიკის გენერალურმა დირექტორმა მარინა გელანტიამ და რეპროდუქციული ცენტრის ხელმძღვანელმა ქეთევან გოცირიძემ მულტიპროფილური სამედიცინო დაწესებულების განყოფილებები დაგვათვალიერებინეს. სამედიცინო პერსონალთან გამართულ შეხვედრაზე საუბარი მკურნალობის, დიაგნოსტიკის, ლაბორატორიული კვლევების პროცესში, მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობის და კვალიფიცირებულ პროფესიონალთა გუნდის ეფექტურად მუშაობას შეეხო. აღინიშნა, რომ ამ კომპონენტთა თანხვედრა მოქალაქეებს ევროპული დონის, სამედიცინო მომსახურების მიღების საშუალებას აძლევს.

2023 წლის 30 აგვისტო

სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაცია "Lions International"-ის პრეზიდენტ პატი ჰილს და ამავე ორგანიზაციის საქართველოს კოორდინატორს ბენტ იესპერსენთან.

თბილისის საკრებულოში საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძესთან ერთად საერთაშორისო ორგანიზაცია "Lions International"-ის პრეზიდენტს პატი ჰილს და ამავე ორგანიზაციის საქართველოს კოორდინატორს ბენტ იესპერსენს შევხვდით.

აღნიშნული ორგანიზაცია საქართველოში არაერთ პროექტს ახორციელებს, მათ შორის პრიორიტეტულია შშმ პირთა საკითხები. მხარეებმა შეხვედრაზე მომავალი თანამშრომლობის განვითარების კუთხით სხვადასხვა მიმართულებაზე გაამახვილეს ყურადღება და უახლოეს

მომავალში საერთაშორისო ორგანიზაცია "Lions International"-ის წარმომადგენლებთან ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე შეთანხმდნენ.



2023 წლის 5 სექტემბერი

სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაცია "Lions International"-ის პსაქართველოს წარმომადგენლებთან

+3

თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთან ლევან აბაშიძესთან ერთად სამუშაო შეხვედრა გავმართეთ საერთაშორისო ორგანიზაცია „Lions International”-ის საქართველოს წარმომადგენლებთან.

შეხვედრას ესწრებოდნენ ლაიონსების თვალის დიაბეტური კლინიკის გენერალური დირექტორი ნინო კარანაძე, სამედიცინო ექსპერტი ვახტანგ ჩხეიძე.
აღნიშნულ შეხვედრაზე, „Lions International“-ის წარმომადგენლებმა სხვადასხვა საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება, აქცენტი გააკეთეს ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით განხორციელებულ პროექტებსა და არსებული ორგანიზაციის კლუბებზე, რომლებიც საქართველოს მასშტაბით არაერთ მნიშვნელოვან აქტივობას ახორციელებენ.
მხარეებმა იმსჯელეს მუნიციპალურ დონეზე ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობებზე, სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივასა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე შეთანხმდნენ.

+17

ზურაბ ჩიკვილაძე - ქალაქ თბილსიის მუნიციპალიტეტის მერიის სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობის კომისიის წევრი

2022 წლის ნოემბერიდან დღემდე კომისიამ განიხილა და დახმარება გაუწია დაახლოებით 7743 ბენეფიციარს, რაზეც 10 590 183 ლარი გამოიყო, შემდეგი კლასიფიკაციით:

დაავადების კლასი	რაოდენობა	კომისიის გადაწყვეტილება (ლარი)
ინფექციური დაავადებები	70	50 672
სიმსივნეები	2 049	4 008 543
კეთილთვისებიანი სიმსივნეები	429	506 228
ენდოკრინული სისტემის, კვლევებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოვლენილი დაავადებები	180	135 158
ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	151	120 292
ნერვული სისტემის დაავადებები	481	445 021
თვალის, მისი დანამატებისა და ყურის, დვრილისებრი მორჩის დაავადებები	182	176 535
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	1 247	1 822 326
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	159	234 548
საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	431	432 906

ძვალ - კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებები	780	989 827
შარდ - სასქესო სისტემის დაავადებები	348	347 742
ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა	7	5 605
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობები	1	194
თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	121	359 155
განვითარების ეტაპების დაყოვნება	314	235 885
დაზიანებები (ტრავმები, მოწამვლები)	182	182 276
ყველა სხვა დაავადება	611	537 270

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი წევრის ზურაბ ჩიკვილაძის და მისი წარმომადგენლობის საქმიანობა სამაჟორიტარო რაიონში

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ 2017 წლის 5 დეკემბრის N5-4 დადგენილების მე-15[1] მუხლის შესაბამისად, მაჟორიტარი საკრებულოს წევრის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საკრებულოს მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ვადით შეიქმნა წარმომადგენლობა. წარმომადგენლობის ძირითადი ამოცანებია:

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზება;
- ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში საზოგადოების ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა.

წარმომადგელობა თავისი ამოცანების შესასრულებლად უზრუნველყოფს:

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მოქალაქეებთან შეხვედრების, მათ შორის, საჯარო შეხვედრების ორგანიზებას;
- მოქალაქეთა წერილების, საჩივრების, განცხადებების საქმის წარმოების ერთიან ელექტრონულ აღრიცხვას, შესწავლას;
- წარმომადგენლობაში შესული განცხადებების, წერილების ანალიზს და შესაბამის რეაგირებას;
- სათანადო დასკვნების, რეკომენდაციების ან/და წინადადებების მაჟორიტარი საკრებულოს წევრისთვის წარდგენას;
- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ხელშეწყობას საკანონმდებლო ან/და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის

ორგანოებთან, კერძო/საჯარო დაწესებულებებთან, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მედია საშუალებებთან ურთიერთობისას;

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ხელშეწყობას კანონის შესაბამისად ანგარიშის წარდგენაში;
- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის სამაჟორიტარო ოლქში არსებული პრობლემებისა და აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებაში ხელშეწყობას;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების /პრობლემების აღმოფხვრისა და გადაწყვეტისათვის მაჟორიტარის უფლებამოსილების ვადით შესაბამისი გეგმის შემუშავებაში ხელშეწყობას;
- წარმომადგენლობის საქმიანობისთვის საჭირო სხვა ფუნქციების განხორციელებას.

საკრებულოს მაჟორიტარი წევრი და მისი წარმომადგენლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობასთან ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმშია. სამაჟორიტარო ტერიტორიაზე ვრცელდება ჩუღურეთის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ორი საუბნო განყოფილების საქმიანობა.

წარმომადგენლობა თანამშრომლობს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან, სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან.

მაჟორიტარი წევრის მიერ მოქალაქეთა მიღება ხდება ყოველი კვირის ხუთშაბათ დღეს.

სამაჟორიტარო ოლქში იდენტიფიცირებული საჭიროებები

მოქალაქეებთან შეხვედრების, წარმომადგენლობაში მოსახლეობის მხრიდან შემოსული განცხადებების, ასევე წარმომადგენლობის თანამშრომლების მიერ ადგილზე მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, სამაჟორიტარო ოლქში გამოვლინდა საჭიროებები სხვადასხვა მიმართულებებით, კერძოდ:

ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მიმართულებით:

- ჯანდაცვის სხვადასხვა პროგრამებით სარგებლობის საჭიროება;
- მედიკამენტების დაფინანსების საჭიროება;
- სხვადასხვა სახის სოციალური, მათ შორის მიზნობრივი ფულადი დახმარების საჭიროება;
- ბინის ქირით უზრუნველყოფის საჭიროება;
- უსახლკაროდ რეგისტრაციისა და საცხოვრისით უზრუნველყოფის საჭიროება;
- საახალწლო და სააღდგომო ნობათების საჭიროება;
- ბინის დაკანონება/რეგისტრაციის საჭიროება.

ინფრასტრუქტურული მიმართულებით:

- გზების მშენებლობა;
- სანიაღვრე ქსელების, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების გაუმართავი ფუნქციონირება;
- ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება.

ტრანსპორტის მიმართულებით:

- საგზაო მოძრაობის ორგანიზება.

ტერიტორიების გამწვანების და რეკრეაციის მიმართულებით:

- არსებული ბაღების და სკვერების კეთილმოწყობა;
- ახალგაზრდებისათვის შესაბამისი დასასვენებელი, გამაჯანსაღებელი და სარეკრეაციო ადგილების შექმნა .

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიმართულებით:

- ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობებში შეჭრილი მოსახლეობის ფართების დაკანონება;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშემწყობი პროგრამებით სარგებლობის საჭიროება.

მოქალაქეებთან კომუნიკაცია

წარმომადგენლობაში ვიზიტზე იმყოფებოდა, ასევე სხვა ონლაინ და საკომუნიკაციო საშუალებებით კონსულტაცია გაეწია 600-მდე მოქალაქეს მოქალაქეს, შემოსულია 284 წერილი/განცხადება, რომელიც შუამდგომლობით გადაგზავნილია სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში. კერძოდ,

1. **ოპერაციის დაფინანსების თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 1;.
2. **გამოკვლევის დაფინანსების თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 2
3. **მედიკამენტების დაფინანსების თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 7;
4. **მიზნობრივი ფულადი დახმარების თაობაზე** შემოსული წერილების - 188;
5. **ბინის ქირით უზრუნველყოფის თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 6;
6. **საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა -13;
7. **ბინის დაკანონება/ფართის რეგისტრაციის თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა -6;
8. **უსახლკაროდ რეგისტრაციისა და საცხოვრისით უზრუნველყოფის თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა - 1;
9. **დასაქმების თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა შეადგენს – 4;

10. **სააღდგომო ნობათების თაობაზე** შემოსული წერილების რაოდენობა შეადგენს - 25;
11. **სხვა სახის შემოსული წერილების** რაოდენობა შეადგენს - 31;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნვულყოფა

ჩემს წარმომადგენლობასთან ერთად ჩართული ვარ სამაჟორიტარო ოლქში არსებული ექვსი სოციალურად დაუცველთა სასადილოს ფუნქციონირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხთა მოგვარებაში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის მიზნით ჩვენგან პერიოდულად მზადდება შუამდგომლობები და ეგზავნება ჩუღურეთის რაიონის გამგეობას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის უფლებამოსილ სამსახურს.

სამაჟორიტარო ოლქში დაფინანსებული ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები

991 სამედიცინო მომსახურების - მკურნალობის დაფინანსება, რომლიც შეადგენს 298 895.71 ლარს;

1889 ბენეფიციარის მედიკამენტების დაფინანსება, რომლიც შეადგენს 299 225.15 ლარს;

2841 ბენეფიციარს გაეწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რომელიც შეადგენს 472 361.45 ლარს;

171 ბენეფიციარის დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფა, რომლიც შეადგენს 566 303.00 ლარს;

141 ბენეფიციარს გაეწია დახმარება სამშენებლო მასალებით, რომლიც შეადგენს 37 784.25 ლარს.

137 დაკრძალვის მომსახურების დაფინანსება, რომლიც შეადგენს 68 440.00 ლარს;

6200 ბენეფიციარზე გაიცა საახალწლო და სააღდგომო ნობათი, რომლიც შეადგენს 395 560.00 ლარს;

3600 ბენეფიციარზე უფასო სასადილოებით მომსახურება, რომლიც შეადგენს 2 046 888.00 ლარს;

18 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო დახმარება, რომლიც შეადგენს 6 300.00 ლარს;

2 ომის ვეტერანის დახმარება, რომლიც შეადგენს 500 ლარს;

ინფრასტრუქტურა

ჩემი როგორც, საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ქ. თბილისის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და ჩუღურეთის რაიონის გამგეობასთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად, სამაჟორიტარო ტერიტორიაზე შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურების მიერ განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

მოწესრიგებული ქუჩების რაოდენობა შეადგენს - 34-ს.
ჯამური ღირებაა 1 375 467.37 ლარი,

9 ქუჩაზე, 12 394 კვ.მ. ფართობზე დაიგო ასფალტის საფარი, რომლის ღირებულება შეადგენს 906 770.23 ლარს;

5 ქუჩაზე, 938.50 კვ.მ. ფართობზე მოეწყო ქვაფენილი, რომლის ღირებულება შეადგენს 196 506.62 ლარს;

2 ქუჩა 399 კვ.მ. ფართობი მოიხრეშა, რომლის ღირებულება შეადგენს 7 208.44 ლარს;

ასფალტის საფარის ორმოულად შეკეთების სამუშაოები ჩატარდა 18 ქუჩაზე, 5 756.88 კვ.მ. ფართობზე, რომლის ღირებულება შეადგენს 264 982.08 ლარს.

კეთილმოწყობის ღონისძიებები

ჯამური ღირებულება შეადგენს 3 099 823.83 ლარს.

3 მისამართზე განხორციელდა სანიაღვრე ქსელის შეკეთება, რომლის ღირებულება შეადგენს 26 371.09 ლარს;

5 მისამართზე განხორციელდა წყალ-კანალიზაცის ქსელის შეკეთება, რომლის ღირებულება შეადგენს 60 483.48 ლარს;

გაზიფიცირება განხორციელდა 1 მისამართზე, რომლის ღირებულება შეადგენს 800 ლარს;

მოეწყო 9 ახალი საჩრდილობელი, რომლის ღირებულება შეადგენს 52 343.30 ლარს;

მოეწყო 30 ახალი საპარკე სკამები, რომლის ღირებულება შეადგენს 12 723.16 ლარს;

მოეწყო 8 ახალი ურნა, რომლის ღირებულება შეადგენს 2 276.81 ლარს;

35 - მისამართზე განხორციელდა არსებული სკვერების აღდგენა-რეაბილიტაცია, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 102 388.64 ლარს;

18 - მისამართზე განხორციელდა არსებული სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 102 215.67 ლარს;

1 - მისამართზე, 1698 კვ.მ-ზე მოეწყო ახალი სკვერი, რომლის ღირებულება შეადგენს 392 161.86 ლარს;

2 - მისამართზე მოეწყო ახალი ფიტნეს ტრენაჟორი, რომლის ღირებულება შეადგენს 78 054.84 ლარს;

17 მისამართზე მოეწყო გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლები, რომლის ღირებულება შეადგენს 1 610 601.85 ლარს;

55 მისამართზე განხორციელდა - არსებული სტიქიისა და სიძველისაგან დაზიანებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, (ავარიული ელემენტების აღდგენის), ნანგრევებისაგან გაწმენდის, სამშენებლო ნაგვის, ჩამოშლილი გრუნტის გატანისა და თანმდევი სამუშაოები, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 279 915.15 ლარს;

5 მისამართზე განხორციელდა მოაჯირების კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოები, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 48 324.06 ლარს;

7 მისამართზე განხორციელდა დამცავი მოწყობილობების (მოძრაობის შემზღუდავი ბარიერი „ბოძკინტი“) მოწყობის სამუშაოები, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 11 340.00 ლარს;

6 ეკლესიას გაეწია დახმარება, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 59 004.00 ლარს;

12 მისამართზე დაირგო 52 ძირი ხე-მცენარე, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 49 521.00 ლარს;

304 მისამართზე მოხდა 1276 ძირი ხე-მცენარის სხვლა-ფორმირება, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 211 298.92 ლარს.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა - სამაჟორიტარო ოლქში დაფინანსებული პროექტები

საერთო სარგებლობაში არსებული, ქალაქური ტიპის ეზოებსა და მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში განხორციელებული სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს 3 215 210.12 ლარს.

სამაჟორიტარო ტერიტორიაზე 1571 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაა დარეგისტრირებული. ამხანაგობების განვითარების და ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების ფარგლებში, სამაჟორიტარო ტერიტორიაზე განახორციელა სხვადასხვა პროექტები, მათ შორის როგორიცაა: სახურავის, წყალსაწრეტის, ლიფტის, შიდა წყალკანალიზაციის, სადარბაზოს, ნაპრალებისა და კიბეების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

4 მისამართზე ბრტყელი, რომლის ღირებულება შეადგენს 29 550.75 ლარს;

16 მისამართზე ქანობიანი სახურავი, რომლის ღირებულება შეადგენს 345 366.44 ლარს;

3 მისამართზე წყალსაწრეტი მილები, რომლის ღირებულება შეადგენს 10 477.92 ლარს;

5 მისამართზე განხორციელდა ლიფტის მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 182 409.23 ლარს;

8 მისამართზე განხორციელდა წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 254 430.82 ლარს;

11 მისამართზე 4 სართულამდე შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგარებითი სამუშაოები, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 2 556 472.31 ლარს;

5 მისამართზე განხორციელდა კაპიტალური გამაგრების პროექტების მომზადება, რომლის ღირებულება შეადგენს 52 170.00 ლარს;

16 - მისამართზე საერთო სარგებლობის ეზოს ჭიშკარი, რომლის ღირებულება შეადგენს 52 789.66 ლარს;

4 - მისამართზე სადარბაზოს რემონტი, რომლის ღირებულება შეადგენს 72 462.39 ლარს;

5 - მისამართზე სადარბაზოს კარი, რომლის ღირებულება შეადგენს 11 890.14 ლარს;

2 - მისამართზე თაღი, რომლის ღირებულება შეადგენს 22 107.65 ლარს.

კულტურულ, სპორტულსა და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობა

ჯამური ღირებულება 107 512. 00 ლარი

ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით, კულტურულ-გასართობი ღონისძიება - 17 681.00 ლარი;

სპორტული ღონისძიება - გარბენი - „ჩემი გაზაფხული -2023“ - 11 395.00 ლარი;

ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საჯარო სკოლების გოგონათა და ვაჟთა გუნდებს შორის ფრენბურთის ჩემპიონატი - 5 840.00 ლარი;

ჩუღურეთის სკოლების მედალოსნების დაჯილდოება - 26 930.00 ლარი;

საგანმანათლებლო კვირეული კახეთის რეგიონში - 21 225.00 ლარი;

26-29 ოქტომბერს ჩუღურეთის რაიონში მცხოვრები სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო ტრენინგ-კურსის ორგანიზება - 24 441.00 ლარი.

განხორციელებული აქტივობები

2022 წლის 9 ნოემბერი

"ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში ჩუღურეთში, კიტა აბაშიძის N12-ში არსებული თბილისური ტიპის ეზოში ქანობიანი სახურავის და საერთო სარგებლობის კიბის სარეაბილიტაციო ჩატარებულ სამუშაოებს გავეცანი და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდი. აღნიშნულ მისამართზე სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავი უმოკლეს დროში აღდგა, რათა ადგილობრივი მოსახლეობისთვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო შექმნილიყო.
პროექტი, ჩუღურეთის რაიონის გამგეობის დაკვეთით, კონტრაქტორმა კომპანიამ განახორციელა და მისი ჯამური ღირებულება 28 000 ლარია.

2022 წლის 28 ნოემბერი

ჩუღურეთის რაიონში „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, ჩიქობავას N36 მაზნიაშვილის N37-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები პარლამენტის დეპუტატ რიმა ბერაძესთან ერთად მოვინახულე, სამუშაოების ღირებულება 650 000 ლარია.

2022 წლის 22 დეკემბერი

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ტყემალაძესთან, პარლამენტის და საკრებულოს წევრებთან ერთად ვიმყოფებოდი ჩუღურეთის რაიონში დიდი ქართველი ფოლკლორისტის, კუკური ჭოხონელიძის სახელის მინიჭების ცერემონიალზე ქუჩისთვის, სადაც ცხოვრობდა ღვაწლმოსილი ქართველი, ქართული თანამედროვე ეთნომუსიკალური სკოლის ფუძემდებელი, რომლის შემოქმედება ფასდაუდებელია ქვეყნის წინაშე.

2022 წლის 27 დეკემბერი

ჩუღურეთის რაიონში ხვედელიძის სკვერში საახალწლო ღონისძიება გაიმართა, რომელსაც პარლამენტის დეპუტატ რიმა ბერაძესთან, ჩუღურეთის რაიონის გამგებლის მოადგილესთან ზურაბ ბაქანიძესთან ერთად ვესწრებოდი.

2023 წლის 23 თებერვალი

ვიზიტი არსენალის N10-ში ავარიული ფერდობის გზის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაოები, ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან, პარლამენტის დეპუტატთან რიმა ბერაძესთან ერთად დავათვალიერეთ და ადგილობრივ მოსახლეობას შევხვდით.

2023 წლის 1 მარტი

მერი შერვაშიძის მე-3-ე შესახვევში მიმდინარე პროექტს გავეცანი, რომლის ფარგლებში 1500 კვადრატულ მეტრზე, ასფალტის ორ ფენიანი საფარი იგება.

2023 წლის 7 მარტი

ჩუღურეთის რაიონში „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, დოლიძის N43-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოებს გავეცანი. მისი ღირებულება 128 000 ლარია.

2023 წლის 10 მარტი

ჩუღურეთის რაიონში, სენაკის N30-ში ავარიული ფერდობის გზის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაოებს გავეცანი, მისი ღირებულება 102 800 ლარია.

2023 წლის 15 მარტი

საგაზაფხულო რგვების ფარგლებში, ჩუბინაშვილის ქუჩაზე გამწვანების სამუშაოები ჩატარდა.

2023 წლის 21 მარტი

ვიზიტი ჩიტაიას ქუჩაზე არსებულ უფასო სასადილოში, რომელიც 500 ბენეფიციარს ემსახურება. რაიონში მსგავსი 6 სასადილო ფუნქციონირებს, რომლითაც ჯამში 4000-მდე ბენეფიციარი სარგებლობს.

2023 წლის 26 მარტი

ჩუღურეთის რაიონის გამგეობის ორგანიზებით, მარათონი - „ჩემი გაზაფხული 2023“ გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მივიღე ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან, პარლამენტის დეპუტატებთან გიორგი ვოლსკისთან, რიმა ბერაძესთან, საკრებულოს წევრთან ვლადიმერ ბოჟაძესთან ერთად.

შეჯიბრმა სტარტი დავით აღმაშენებლის გამზირის N72-დან აიღო და განახლებულ აღმაშენებელზე დასრულდა. ღონისძიებაში მონაწილეობა რაიონში არსებული 15 სკოლის მოსწავლეებმა, ასევე რაიონში მცხოვრებმა მოქალაქეებმა მიიღეს.

2023 წლის 6 აპრილი

ვიზიტი მამულაშვილის ქუჩაზე, 1 600 კვადრატულ მეტრზე ასფალტის ორფენიანი საფარი დაიგო, ასევე მოეწყო საფეხმავლო ბილიკიც. მისი ღირებულება 115 000 ლარია.

2023 წლის 6 აპრილი

ვიზიტი ჩუღურეთის რაიონში მდებარე 68-ე და 69-ე ბაგა-ბაღებში.

დავათვალიერეთ არსებული გარემო, სადაც ბავშვები ადრეული და სკოლამდელი განათლების პროცესში არიან ჩართულები. შევხვდით აღნიშნული ბაგა-ბაღების ხელმძღვანელებს, აღმზრდელებს, რომლებმაც აღსაზრდელებთან მუშაობის პრინციპზე, დანერგილ სიახლეებსა და ბავშვებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნის მნიშვნელობაზე ისაუბრეს, რომელსაც ბავშვთა ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი უკავია.

2023 წლის 10 აპრილი

თბილისის საკრებულოს მიერ, 2022 წლის 19 სექტემბერს, მხარდაჭერილი იქნა 220-ე საჯარო სკოლისთვის, ამავე სკოლის კურსდამთავრებულის, ჩვენი უახლესი ისტორიის გმირის სახელის მინიჭება, რის საფუძველზეც 2023 წლის 13 თებერვლიდან 220-ე საჯარო სკოლა ზურაბ ძამუნაშვილის სახელს ატარებს.

2023 წლის 20 აპრილი

ვიზიტი წინამძღვრიშვილის N100-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოების მოსანახულებლად, რომლის ღირებულება 128 000 ლარია, სამუშაოებს ჩუღურეთის რაიონის გამგეობის დაკვეთით, კონტრაქტორი კომპანია ასრულებს.

2023 წლის 26 აპრილი

ჩუღურეთის რაიონში, უზნაძის ქუჩა N59-ში, თბილისური ტიპის ეზოში საერთო სარგებლობის აივანი მოეწყო, მისი ღირებულება 33 660 ლარია.

2023 წლის 8 მაისი

ვესტუმრეთ ჩუღურეთის რაიონში მცხოვრებ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს და ფაშიზმზე გამარჯვების 78-ე წლისთავი მივულოცეთ,

2023 წლის 31 მაისი

თბილისის მერთან კახა კალაძესთან, მერის მოადგილესთან ანდრია ბასილაიასთან, პარლამენტის წევრებთან გიორგი ვოლსკისთან, რიმა ბერაძესთან, ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან ერთად, ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბანში, ცხრა ძმა ხერხეულიძის ქუჩის მიმდებარედ, ახალი რეკრეაციული სივრცე გავხსენით.
სკვერი 6400კვ.მ-ზეა გაშენებული, სადაც გამოყოფილია დასასვენებელი სივრცეები, სპორტული მოედნები, საბავშვო ზონა ატრაქციონებით, საფეხმავლო ბილიკები. მოეწყო განათების და ვიდეომეთვალყურეობის სისტემები. გამწვანებული სკვერი განტვირთვისთვის და მოსახლეობის დასვენებისთვის სრულად კეთილმოწყობილია.

2023 წლის 8 ივნისი

ჩუღურეთის რაიონში „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, როსტოვის N18-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები მოვინახულე და ადგილობრივ მოსახლეობას შევხვდი. პროექტის ფარგლებში, გამაგრდა შენობის საძირკველი, მოეწყო კედლები, ლითონის ელემენტებით ფანჯრები და კარის ღიობები მოჩარჩოვდა, ასევე, მოეწყო სეისმური სარტყელი. სამუშაოების ღირებულება 96,000 ლარია.

2023 წლის 8 ივნისი

გროზნოს ქუჩის მიმდებარე სკვერში, პარლამენტის წევრ რიმა ბერაძესთან, ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან ერთად, ჩუღურეთის რაიონის ახლადშექმნილი, ახალგაზრდული რაგბის კლუბის "ჩუღურეთი" წევრებს შევხვდი, რომლის ჩამოყალიბების პროცესში აქტიური მონაწილეობა მივიღეთ.

2023 წლის 16 ივნისი

ვიზიტი ივერთუბანში, გია ქარსელაძის ქუჩაზე 1600 კვადრატულ მეტრზე ასფალტის ორფენიანი საფარი დაიგო. სამუშაოებს ჩუღურეთის რაიონის გამგეობის დაკვეთით, კონტრაქტორი კომპანია ასრულებს. მისი ღირებულება 120 000 ლარია.

2023 წლის 3 ივლისი

დიღომბარის N3-ში, მწვავედ ავარიული ფერდობის დამჭერი კედლის მოწყობის მიმდინარე სამუშაოები ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან ერთად დავათვალიერე, ასევე შევხვდით ადგილობრივ მოსახლეობას.

2023 წლის 7 ივლისი

ჩუღურეთის რაიონში, "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში, მარჯანიშვილის ქ. N35-ში, თბილისური ტიპის ეზოში საერთო სარგებლობის აივანი მოეწყო. პროექტს პარლამენტის დეპუტატ რიმა ბერაძესთან, ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად გავეცანი.

2023 წლის 15 ივლისი

ოთარ ქინქლაძის ქუჩაზე მდებარე N125 საბავშვო ბაღის ძველი შენობის ნაცვლად, თანამედროვე სტანდარტის შენობა აშენდა, რომელიც აღსაზრდელებს ახალი სააღმზრდელო წლის დასაწყისიდან მიიღებს. ასევე, მოვინახულეთ უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე მდებარე N2 ბაგა-ბაღში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის რეაბილიტაცია წლის ბოლოს დასრულდება და რომელიც 400 ბავშვზეა გათვლილი.

ოთარ ქინქლაძის N125-ში და უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე მდებარე N2 ბაგა-ბაღებში თბილისის მერის მოადგილესთან კახა გულედანთან, პარლამენტის წევრ რიმა ბერაძესთან, ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან, თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელთან გოგი ჩიქოვანთან ერთად ვიმყოფებოდი.

2023 წლის 25 ატგვისტო

ჩუღურეთის რაიონში არნოლდ ჩიქობავას N9-ში, ჩუღურეთის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან, პარლამენტის დეპუტატათან რიმა ბერაძესთან ერთად გავეცანი თბილისური ტიპის ეზოში ქანობრივი სახურავის შეცვლის მიმდინარე სამუშაოებს. არსებულ მისამართზე არაერთ გადაჭრილ პრობლემას შორის, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება.

2023 წლის 5 სექტემბერი

ჩუღურეთის რაიონში „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, ტყვიავის N11/14-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოებს გავეცანი.

2023 წლის 8 სექტემბერი

ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან, დავით მაქაცარიასთან ერთად, ლარეხის N14 ა-ში მწვავედ ავარიული ფერდობის გზის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს გავეცანი და ადგილობრივ მოსახლეობას შევხვდი.



2023 წლის 14 სექტემბერი

წინამძღვრიშვილის 100 ა-ში ახალი სკვერი მოეწყო, რომელიც თბილისის მერის მოადგილესთან კახა გულედანთან, პარლამენტის დეპუტატთან რიმა ბერაძესთან, ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან ერთად დავათვალიერე.
პროექტის ფარგლებში, 1698 კვ.მ. ფართობზე განათების სისტემა, საფეხმავლო ბილიკი, საბავშვო- გასართობი ზონა, ტრენაჟორები, წყლის სოკოები მოეწყო, ასევე განთავსდა საპარკე ავეჯი, დაირგო ხე-მცენარეები. ტერიტორია უსაფრთხოების მოაჯირით შემოისაზღვრა.

2023 წლის 15 სექტემბერი

ვიზიტი ჩუღურეთის რაიონში მდებარე 36-ე საჯარო სკოლაში. სკოლა, რომელიც უწყვეტად აგრძელებს ტრადიციას, სადაც მომავალი თაობა საუკეთესო გარემოში იზრდება. გამორჩეული პედაგოგები, თანამედროვე სტანდარტს მორგებული განახლებული ინფრასტრუქტურა ქმნის ჯანსაღი მომავლის საფუძველს.

2023 წლის 4 ოქტომბერი

დოდო ჭიჭინაძის N26-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, მწვავედ ავარიული ფერდობის გზის დამჭერი კედლის მოწყობის მიმდინარე სამუშაოები დავათვალიერე და ადგილობრივ მოსახლეობას შევხვდი.

2023 წლის 18 ოქტომბერი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, ჩუბინაშვილის N5/ჩიქობავას N42-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების პროცესი მოვინახულე. სამუშაოები თბილისის მერის მოადგილესთან კახა გულედანთან და ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით მაქაცარიასთან ერთად დავათვალიერე.
პროექტის ფარგლებში, შენობის საძირკველი გამაგრდება, კედლები მოეწყობა, ლითონის ელემენტებით ფანჯრები და კარის ღიობები მოჩარჩოვდება, არმატურის ჯავშანში დაზიანებული ელემენტები ჩაისმება, ბზარები დამუშავდება და სპეციალური მასალით შეივსება.

აღსანიშნავია, რომ ჩუღურეთის რაიონში არაერთ ქუჩას ღვაწლმოსილი ადამიანების სახელები მიეკუთვნა.

მათ შორის, გამოვყოფდი გიორგი ჩიტაიას მონაკვეთს და გიორგი ჩიტაიას ჩიხს, რომლებსაც ილუზიონისტის, საქართველოში საილუზიო ხელოვნების ფუძემდებლის, ზურაბ ვადაჭკორიას სახელი მიენიჭა.

საქართველოს ეროვნული გმირის მიხა ხელაშვილის სახელი დაერქვა ნორიოს აღმართს, მასთან არსებულ ჩიხს და შესახვევს.

ენათმეცნიერის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სახელი მიენიჭა გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩას.

ზაირა არსენიშვილი, მწერალი, რომლის სახელი, ასევე ჩუღურეთის რაიონში რამდენიმე ქუჩას და ჩიხის მონაკვეთს მიეკუთვნა.

ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთს ხელბურთელის ჯემალ ცერცვაძის, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთს აკადემიკოს გივი ცინცაძის და ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთს აკადემიკოს ნანა ხაზარაძის სახელები მიენიჭა.

ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა

როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი აქტიურად ვიყავი და ვარ ჩართული მ. თოიძის ქ. #50,#52,#54-ში მდებარე ავარიული სახლების ჩანაცვლების საკითხთან დაკავშირებით პროცესში. ამ ეტაპზე აღნიშნულ მისამართებზე მიმდინარეობს პროექტირების 1-ლი ეტაპის სამუშაობები, რის დასრულების შემდეგ, მოხდება პროექტის შეთანხმება მესაკუთრეებთან და დაიწყება შემდეგი ეტაპი, სადაც მოხდება უკვე მშენებელი კომპანიის გამოვლენა ტენდერის გზით.

ამ პროექტის ფარგლებში დაკმაყოფილდება 31 მობინადრე/მესაკუთრე. (მ.თოიძის ქ.#50 – 11 მესაკუთრე, მ.თოიძის ქ.#52 – 17 მესაკუთრე, მ.თოიძის ქ.#54ა – 3 მესაკუთრე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში 16 სხდომა ჩატარდა. მიღებული იქნა 663 განკარგულება და 115 დადგენილება.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ ჩატარებულ, 13 სხდომას დავესწარი და შევისწავლე 23 საკითხი.

18.11.2022; დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: N12-03223196103).
- საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" (ს/ნ 402176943) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა (წერილი: 12-032231425-03; 10.11.2022).

24.11.2022; დღის წესრიგი:

- სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლისთვის ბესარიონ კივილაძის და ალექსანდრე თანდაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

22.12.2022; დღის წესრიგი:

- განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი წერილის 19/032234158-03; 07.12.2022 განხილვა (გოჩა ჩოგოვაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ).
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: 12-032234375-03; 09.12.2022).

26.01.2023; დღის წესრიგი:

- განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი წერილის 06/0322364100-03; 30.12.2022 განხილვა (არამ ხაჩატურიანის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ).

20.02.2023; დღის წესრიგი:

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: №12-03230451-03; 14.02.2023).
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის” დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: №12-032304146-03; 10.02.2023).

17.03.2023; დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (საფუძველი: წერილი №12-032307237-03; 13.03.2023წ.).
- ვლადიმერ შარვაშიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ (საფუძველი: წერილი №19/032306196-03; 02.03.2023)

10.04.2023; დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (N12-032305945-03; 28.02.2023) განხილვა.
- სსიპ ქალაქ თბილისის №30 საჯარო სკოლისთვის გურამ რჩეულიშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ (წერილი:04-032309556-03 05.04.2023)

18.05.2023; დღის წესრიგი:

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (წერილი N12-032313081-03; 10.05.2023) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 10)ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნები ფონდის“ (ს/ნ405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ (წერილი N12-

032311784-03; 27.04.2023) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დდგენილების განხილვა.

29.06.2023; დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი №12-0323170121-03; 19.06.2023).
- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი №12-0323179137-03; 28.06.2023).

20.07.2023; დღის წესრიგი:

- განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი წერილის 19/03231949-03; 13.07.2023 განხილვა (გია ყანჩელის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ).
- განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი წერილის 10/032317252-03; 21.06.2023 განხილვა (ალბერტ თავხელიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ).
- განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი წერილის 19/032319480-03;13.07.2023 განხილვა (ლავრენტი ჩხარტიშვილი მემორიალური დაფის ხელახალი განთავსების შესახებ).

24.08.2023; დღის წესრიგი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ანგარიშის მოსმენა.

21.09.2023; დღის წესრიგი:

- განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა (წერილი №19/032326222-03; 19.09.2023 ჯემალ ცერცვაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ).
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: №12-032326258-03; 19.09.

19.10.2023; დღის წესრიგი:

- გასვლითი კომისიის სხდომა.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი

საანგარიშო პერიოდში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიურლი საქართველოს“ მიერ 18 სხდომა ჩატარდა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რაოდენობა - 26, დავესწარი 16 სხდომას.